

**თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი ITI საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო
ორგანიზაციის გზავნილი მსოფლიო თეატრის დღისადმი 2026 წლის – 27 მარტი**

**გზავნილის ავტორი: უილიამ დეფო, ამერიკელი მსახიობი, თეატრის პრაქტიკოსი,
მსოფლიო თეატრის დღის გზავნილი 2026**

უილიამ დეფო

მე მსახიობი ვარ, რომელსაც ძირითადად როგორც კინო მსახიობს ისე მიცნობენ. მაგრამ ჩემი ფესვები ღრმადაა გადგმული თეატრში. 1977-2003 წლებში ვიყავი ვუსტერ ჯგუფის წევრი, სპექტაკლებში ვთამაშობდი ნიუ იორკის პერფორმინგ გარაჟში და გასტროლებზე დავდიოდით მსოფლიოს გარშემო. ასევე ვმუშაობდი რიჩარდ ფორმანთან, რობერტ ვილსონთან და რომეო კასტელუჩსთან.

ამჟამად ვენეციის ბიენალეს სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. ამ დანიშვნამ, მოვლენებმა მსოფლიოში და ჩემმა სურვილმა დავბრუნებოდი თეატრს მტკიცედ ჩამომიყალიბა რწმენა თეატრის განსაკუთრებულ დადებით ძალასა და მნიშვნელობაზე. როდესაც ვუსტერ ჯგუფში მოღვაწეობას ვიწყებდი, ნიუ-იორკულ თეატრალურ კომპანიაში, ხშირად ძალიან ცოტა მაყურებელი მოდიოდა ჩვენს თეატრში წარმოდგენებზე. არსებობდა წესი - თუ მსახიობები მაყურებლებზე მეტნი იქნებოდნენ, შეგვეძლო წარმოდგენა გაგვეუქმებინა. მაგრამ ჩვენ ეს არასდროს გავაკეთებთ. კომპანიის ბევრი წევრი არ იყო თეატრალური განათლების მქონე, არამედ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ, რომლებიც თეატრის შესაქმნელად შეიკრიბნენ - ამიტომ "შოუ უნდა გაგრძელდეს" ნამდვილად არ იყო ჩვენი მანტრა, თუმცა ჩვენ ვგრძნობდით ვალდებულებას, შევხვედროდით მაყურებელს. ხშირად დღის განმავლობაში ვრეპეტიციობდით და საღამოს უკვე ვაჩვენებდით მასალას, როგორც მიმდინარე ნამუშევარს. ხანდახან წლებს ვხარჯავდით ერთ შოუზე, ხოლო თავს ვინარჩუნებდით ძველი წარმოდგენების გასტროლებით. წლობით მუშაობა ერთ პიესაზე ხშირად მოსაწყენი ხდებოდა ჩემთვის და რეპეტიციებს გარკვეულწილად დამქანცველად აღვიქვამდი, მაგრამ ეს მიმდინარე ნამუშევრების ჩვენებები ყოველთვის ამაღელვებელი იყო - მაშინაც კი, როცა მცირერიცხოვანი მაყურებელი ჩვენი საქმიანობისადმი ინტერესის დონის დამთრგუნველი შეფასება იყო. ეს უბრალოდ მაფიქრებდა იმაზე, თუ როგორ სძენს მნიშვნელობას და სიცოცხლეს თეატრს აუდიტორია, როგორც მოწმე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ცოტა ხალხია. როგორც სათამაშო დარბაზში წერია: „გამარჯვებისთვის დასწრება აუცილებელია“. შემოქმედებითი აქტით რეალურ დროში გაზიარებული გამოცდილება, რომელიც შესაძლოა იყოს გაწერილი და დაგეგმილი, მაგრამ ყოველთვის განსხვავებულია, ნამდვილად თეატრის აშკარა ძალაა. სოციალურად და პოლიტიკურად, თეატრი არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და ცოცხალი ჩვენი თავის და სამყაროს გაგებისთვის, როგორც ახლაა.

"სპილო ოთახში" არის ახალი ტექნოლოგიები და სოციალური ქსელები, რომლებიც გვპირდებიან კავშირს, მაგრამ როგორც ჩანს, ადამიანები ერთმანეთისგან დაანაწევრეს და იზოლირებულნი გახადეს. მე ყოველდღე ვიყენებ ჩემს კომპიუტერს, თუნდაც სოციალური მედია არ მქონდეს, საკუთარი თავიც კი მიგუგლია, როგორც მსახიობი და

AI-საც კი მივმართავ ინფორმაციისთვის. მაგრამ ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ამჩნევდე, თუ როგორ ემუქრება ადამიანურ ურთიერთობებს მოწყობილობებთან ურთიერთობით ჩანაცვლების რისკი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტექნოლოგია შეიძლება კარგად გვემსახუროს, პრობლემა იმის არცოდნისა, თუ ვინ არის კომუნიკაციის წრის მეორე ბოლოში, ღრმად არის ფესვგადგმული და ხელს უწყობს ჭეშმარიტებისა და რეალობის კრიზისს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტს შეუძლია კითხვების დასმა, ის ძალიან იშვიათად ქმნის გაოცების იმ გრძნობას, რასაც ქმნის თეატრი. გაოცება, რომელიც დაფუძნებულია ყურადღებაზე, ჩართულობაზე და მოქმედებისა და პასუხის წრეში მყოფთა სპონტანურ საზოგადოებაზე. როგორც მსახიობი და თეატრის შემქმნელი, მე მაინც მწამს თეატრის ძალის. სამყაროში, რომელიც უფრო გამყოფი, მაკონტროლებელი და ძალადობრივი ხდება, ჩვენთვის, როგორც თეატრის შემქმნელებისთვის გამოწვევაა, ავირიდოთ თეატრის კორუფცია როგორც მხოლოდ კომერციული საქმიანობა, რომელიც ეძღვნება გართობას ყურადღების გადატანის გზით, როგორც ტრადიციების მშრალი ინსტიტუციონალური მცველისა, ანდა ხელი შევეწყობთ მის ძალას, დააკავშიროს ადამიანები, საზოგადოებები, კულტურები და უპირველეს ყოვლისა, დავსვათ კითხვები, თუ სად მივდივართ..." კარგი თეატრი წარმოადგენს ჩვენი აზროვნების გამოწვევას და გვამხნეებს, გვიბიძგებს წარმოვიდგინოთ ის, რისკენაც ვისწრაფვით. ჩვენ სოციალური ცხოველები ვართ და ბიოლოგიურად შექმნილნი ვართ სამყაროში ჩართულობისთვის. ყოველი გრძნობის ორგანო არის კარიბჭე შეხვედრისთვის და ამ შეხვედრის მეშვეობით ჩვენ უფრო მკაფიოდ განვსაზღვრავთ საკუთარ თავს. მოთხრობის, ესთეტიკის, ენის, მოძრაობის, სცენოგრაფიის მეშვეობით - თეატრი, როგორც ხელოვნების ტოტალური ფორმა, გვაჩვენებს თუ რა იყო, რა არის და როგორი შეიძლება იყოს ჩვენი სამყარო.